ხელშეკრულება № 02/75

გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების შესახებ

ქ. ახალციხე 21 ივნისი 2019 წ.

ა(ა)იპ „ახალციხის ციხის"დირექტორი დავითი ტაბატაძე, შემდგომში „შემსყიდველი", ერთის მხრივ, ხოლო მეორეს მხრივ **შპს „ფლაგ არტი"**, ს.კ. 206160018, წარმოდგენილი მისი **დირექტორის რომან დარჩიაშვილის** სახით, შემდგომში „მიმწოდებელი", საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმები და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის" თანახმად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანია: საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის საშუალებით განხორციელებული **ა(ა)იპ „ახალციხის ციხის" საჭიროებისათვის დროშის** შესყიდვა.

cpv კოდი:. 35800000.

2. ხელშეკრულების ობიექტი და ღირებულება

2.1 ხელშეკრულების ობიექტია: ინდივიდუალური და დამხმარე მოწყობილობები.

2.2 შესყიდვის ობიექტის ღირებულება შეადგენს 490.00 (ოთხასოთხმოცდაათი ლარი და 00 თეთრი) ლარს.

3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და ადგილი

3.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია ქ. თბილისი, კალოუბნის ქ. №40.

3.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადაა, 2019 წლის 21 ივნისიდან 30 ივნისის ჩათვლით პერიოდი.

4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

შესყიდვის ობიექტის მიწოდება ფორმდება სასაქონლო ზედნადებით და მიღება-ჩაბარების აქტით შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის.

5. ანგარიშსწოების ფორმა

მიმწოდებელთან ანგარიშსწორება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერიდან 10 (ათი) სამუშაო დღეში, ეროვნულ ვალუტაში, უნაღდო ანგარიშსწორებით.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. შემსყიდველი და მიმწოდებელი იღებენ ურთიერთვალდებულებებს საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმები და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის" სრული დაცვით.

6.2 შემსყიდველს უფლება აქვს:

ა. განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულებაზე;

ბ. მოითხოვოს გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრა დამატებითი ანაზღაურების გარეშე;

გ. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შეაჩეროს ან შეწყვიტოს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ დადებული ხელშეკრულების მოქმედება, ხელშეკრულების მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე.

6.3 შემსყიდველი ვალდებულია:

ა. საქმის კურსში ჩააყენოს მიმწოდებელი ფორსმაჟორული სიტუაციების დადგომისთანავე;

ბ. აუნაზღაუროს მიმწოდებელს შესყიდვის ობიექტის ღირებულება.

6.4 მიმწოდებელს უფლება აქვს:
ა. მოითხოვოს შემსყიდველისაგან შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში;
ბ. დააყენოს შემსყიდველის პასუხისმგებლობის საკითხი ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევისათვის საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
6.5 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას:
ა. უზრუნველყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაცვა;
ბ. წინასწარ აცნობოს შემსყიდველს მოსალოდნელი შეფერხების შესახებ;
გ. საქმის კურსში ჩააყენოს შემსყიდველი ფორს-მაჟორული სიტუაციის დადგომისთანავე.

7. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას
7.1 თუ მიმწოდებელი არ ასრულებს ვალდებულებას ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში, შემსყიდველი აფრთხილებს წერილობით, რათა მან უზრუნველყოს ხელშეკრულების პირობების განუხრელი დაცვა.
7.2 თუ შემსყიდველი არ ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს, მიმწოდებელს უფლება აქვს გამოიყენოს ხელშეკრულებით და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა ზომა.
7.3 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში მხარეებს ეკისრება შეუსრულებელი ვალდებულების 0,01 %-ის გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

8. ფორს-მაჟორული სიტუაციები
8.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს გამოწვეული იქნება დაუძლეველ (ფორს-მაჟორულ) გარემოებათა გამო, როგორიცაა ხანძარი, წყალდიდობა, მეწყერი, ომები და სხვა.
8.2 მხარე, რომელსაც შეექმნება ფორს-მაჟორული სიტუაცია, ვალდებულია აღნიშნულის დადგომისთანავე დაუყოვნებლივ აცნობოს მეორე მხარეს წერილობით.

9. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა
9.1 ხელშეკრულებით შეთანხმებული ფასი გადასინჯვას არ ექვემდებარება.
9.2 ხელშეკრულებების პიროებების შეცვლა დასაშვებია ურთიერთშეთანხმების შემდეგ, თუ ამით არ ილახება ერთ-ერთი მხარის ინტერესები.

10. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების შესრულების კონტროლი
შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია აწარმოოს შესასყიდი ობიექტის ხარისხის კონტროლი ნებისმიერ ეტაპზე თავისი წარმომადგენლის მეშვეობით.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი
მხარეებს შორის წამოჭრილი დავა გადაწყდება ურთიერთშეთანხმებით. შეუთანხმებლობის შემთხვევაში კანონით გათვალისწინებული წესით.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა
ხელშეკრულების მოქმედების ვადაა 2019 წლის 21 ივნისიდან 2019 წლის 30 ივლისის ჩათვლით პერიოდი.

13. მხარეთა მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი":	„მიმწოდებელი":
ა(ა)იპ – „ახალციხის ციხე"	შპს „ფლაგ არტი"
ა/ა№GE53LB0115122142168001	ა/ა№ GE72BG0000000894356101
ს/ჯ ფილ „ლიბერთი ბანკის"	სს „საქარათველოს ბანკი"
ბ.კ. LBRTGE22	ბ/კ BAGAGE22
ს.კ. 424066735	ს.კ. 206160018
დირექტორი:	დირექტორი:
დავითი ტაბატაძე	რომან დარჩიაშვილი
---	---

akhaltsikhis tsikhe Digitally signed by akhaltsikhis tsikhe Date: 2019.06.21 16:54:02 +04'00'

FLAG ART LTD Digitally signed by FLAG ART LTD Date: 2019.06.21 17:20:05 +04'00'

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არ არსებობის შესახებ

21/06/2019 წელი ქ. ახალციხე

ვადასტურებ, რომ ,, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის თანახმად, № 02/75 ხელშეკრულების საფუძველზე განხორციელებულ სახელმწიფო შესყიდვასთან დაკავშირებით, ჩემი მონაწილეობა შპს ,,ფლაგ არტთან“ არ იწვევს ინტერესთა კონფლიკტს.

ა(ა)იპ ახალციხის ციხე“
ფინანსური დაგეგმარების და შესყიდვების სპეციალისტი:

ხ. ვეფხვიაშვილი----------